ხელშეკრულება № 34

ჩოხატაური 1 ნოემბერი, 2016 წ.

ერთის მხრივ სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერკეთის საჯარო სკოლამ, წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ. უშანგი თოდრიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი"), მეორეს მხრივ ინდმეწარმე კახაბერ სიხარულიძემ (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 23–ე მუხლის შესაბამისად ურთიერთშეთანხმებით დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვით საქონლის შესყიდვაზე .

ხელშეკრულების საგანი: საყოფაცხოვრებო საქონელი

ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება: 90 ლარი

შემსყიდველის უფლება-მოვალეობანი:

1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება (ეტაპობრივად ან მთლიანი გადახდის გრაფიკით) უნაღდო ანგარიშსწორებით.
2. წარუდგინოს მიმწოდებელს მომსახურების გეგმა გრაფიკი.
3. შეუწყვიტოს ხელშეკრულება მომსახურების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში.
4. მიმწოდებელთან შეთანხმებით მოახდინოს მომსახურების ფასების გადასინჯვა საჭიროების შემთხვევაში (ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა). განახორციელოს საჭიროების შემთხვევაში კონტროლი ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობაზე.
5. აწარმოოს სამუშაოების ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი:

1. გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შემს–ყიდველის მიერ წარმოდგენილი ეტაპების და გრაფიკის მიხედვით.
2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხიან შესრულებაზე.
3. მიმწოდებელი ვალდებულია ჩააბაროს შემსყიდველს გაწეული მომსახურების დოკუმენტაცია მიღება–ჩაბარების დამადასტურებელი დამოწმებით.
4. წარადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია, თუ ამას შემსყიდველი მოითხოვს.
5. შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება 2016 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 24 დეკემბრამდე.

შესყიდვებზე პასუხისმგებელი: რომან ცაგარეიშვილი

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება „ხელშეკრულების ფასის" 1% ოდენობის პირგასამტეხლო,რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით (შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში).

ფორს–მაჟორული სიტუაცია:

მხარეები პასუხს არ აგებენ დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე,თუ ეს არის ფორს–მაჟორული სიტუაციის შედეგი. ფორს–მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გაუთვალისწინებელ გარემოებას (სტიქია, ომი, ეპიდემია, კარანტინი), რომელიც მხარეთა კონტროლს არ ექვემდებარება.

სადაო საკითხების გადაწყვეტა:
სადაო საკითხების წამოჭრის შემთხვევაში ორივე მხარეს დავის გადაჭრის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 24 იანვრამდე.

შემსყიდველი:

სსიპ-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ ერკეთის საჯარო სკოლა
მის.: 4900 ჩოხატაური, ერკეთი
საიდენტიფიკაციო კოდი: 242007608

სკოლის დირექტორის მ/შ

უშანგი თოდრია

„მიმწოდებელი“

ინდ. მეწარმე კახაბერ სიხარულიძე
მის.: 4900 ჩოხატაური,
საიდენტიფიკაციო კოდი: 46001001005
ს/ს „ლიბერთი ბანკი“ LBRTGE22
ანგ. GE84LB0112168050447000

ინდ. მეწარმე:

კახაბერ სიხარულიძე